

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

შორენა ჭუმბურიძე

საფრანგეთისა და საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის
ინსტიტუციური სისტემის შედარებითი ანალიზი

დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

სადოქტორო პროგრამა საჯარო მმართველობა

შიფრი - 1109

თბილისი
2018 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტი

ხელმძღვანელი: პროფესორი ოთარ ქოჩორაძე

რეცენზენტები: -----

დაცვა შედგება ----- წლის „-----“, -----, ----- საათზე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების
ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე.
კორპუსი -----, აუდიტორია -----
მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციისგაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში.
ხოლო ავტორეფერატისა - სტუ-ს ვებგვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი -----

ასოცირებული პროფესორი ლია ბერიკაშვილი

Abstract

Reforming the local government and establishing a democracy turned out to be a serious challenge for Georgia. The findings indicate that decentralization has significantly increased degree of democracy in general, but he has not always the result. Today it is a very popular subject for the political elite. Perhaps therefore before coming to power, all politicians express readiness to affect the reforms of decentralization, but in the end, after the elections hardly anything changes. For this purpose, first of all it is important to analyze the theoretical models of municipality organization and the experience of other country.

This dissertation examines the items of institutional arrangement of municipal governments in France and Georgia and by their analysis recommended the optimal system of government administration for Georgia. Except the socio-cultural similarity, the both country present the unitary state with the centralized management. France before revolution was several centralized monarchical state. Only after second half of 20th century has brought some radical changes for decentralization. After Second World War the French administration's system enjoy a very high degree of democracy. To-day's France can be considered as a relatively decentralized country, but France in some sense keeps the influence of center in the local government.

Pre-revolutionary France was marked largely by the attempts of the monarchy to impose central control. For the years, France was under three periods of monarchy, five republics, two imperial rules, and reactionary wartime rule by the Vichy state. For today this is the country considered more democratic. The administration system here is regarded as the most democratic and less discriminatory. While the institutions of French democracy contributed in a positive manner to the issue of trust in the broader polity, the French subnational government system, however, has many principal weaknesses: particularly in terms of the institutional system. One of the most serious problems of public administration in France remains still bureaucratic, that is a serious barrier between the public and the government.

Georgia is still in the process of the reform. We are still a strong centralized country, who strives for the decentralization. But it's a question how much is it favorable for us. In other words, horizontal linkages in local government are a necessary precondition for good democratic governance, but vertical linkages are equally important. Our analysis suggests that scholars have yet to explore all of the approaches to local management. The study has demonstrated that transforming the Georgian municipality into decentralization system is too early and is accompanied with too much threat. For this system do not exist crucial pre-conditions so far. Today, the majority of employees of local community and local self-government bodies are not ready to take part in the construction of the local government completely decentralized. It's also very important civic responsibility and activity, involvement in public affairs and participation in decision-making, are responsible for the publicity, and monitoring of the activities of self-governing units. The study also showed as a result of the conducted dissertation that best solution for our country is a mixed system of local government.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

საკვლევი თემის აქტუალობა - ადგილობრივი თვითმმართველობის ქართული სისტემა საკმაოდ შორსაა სრულყოფილებისაგან და დღესაც სტაგნაციის პროცესშია. მან ჩამოყალიბების საკმაოდ რთული გზა გაიარა ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული სამი ხელისუფლების პირობებში. მიუხედავად იმისა, რომ ამ ხნის განმავლობაში, მუდმივად ხდებოდა დეცენტრალიზებული მმართველობის სისტემის პოპულარიზაცია, საქართველო ჯერაც მკაცრად ცენტრალიზებულ ქვეყანად რჩება. ამ ეტაპზე უამრავი საკანონმდებლო აქტია მისაღები ან დასახვეწი, რომლებიც ხელს შეუწყობს თვითმმართველობის ეკონომიკური საფუძვლების განმტკიცებას და ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილების გაფართოებას. თუმცა, მანამდე გამოსაკვლევია, რამდენად იდეალურია დეცენტრალიზებული მართვის სისტემა, იმ მენტალიტეტისა და ტრადიციების მქონე ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა.

სწორედ აღნიშნული განსაზღვრავს სადისერტაციო თემის აქტუალობის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელს. ამ მხრივ ძალიან საინტერესო და სასარგებლოა ევროპის ისეთი განვითარებული ქვეყნის ადგილობრივი თვითმმართველობის გამოცდილების გაანალიზება, როგორც საფრანგეთია. თითოეულ მუნიციპალურ სისტემას თავისი სპეციფიკური ნიშნები და თავისებურებები აქვს, მათ შორის მმართველობის ფრანგულ მოდელსაც. სახელმწიფოს უნიტარული წყობა, მკაცრად ცენტრალიზებული ისტორიული მემკვიდრეობა, დედაქალაქის განსაკუთრებული მნიშვნელობა ეკონომიკური თვალსაზრისით და სხვა საერთო მახასიათებლები საფრანგეთსა და საქართველოს შორის, საფრანგეთის ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციური მოწყობის ანალიზს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის ჩვენთვის, რომლის ინტეგრაციაც ქართულ ადგილობრივ თვითმმართველობაში, მისი მორგება ჩვენი ქვეყნის ისტორიულ და ტრადიციულ მემკვიდრეობასთან, უფრო მეტად დაგვაახლოებს სრულყოფილ მმართველობის სისტემასთან.

კვლევის ობიექტია საფრანგეთის და საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობები, მათი ფინანსური უზრუნველყოფა, საჯარო ადმინისტრირება და მათი მართვის ფორმები და მეთოდები. ასევე სხვა ფაქტორები, რომელიც გავლენას ახდენს საჯარო-საზოგადოებრივი წესრიგის არსებობაზე.

კვლევის საგანია ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა და ინსტიტუციური მოწყობა, რომელიც მაქსიმალურად იქნება მორგებული ქართულ ცნობიერებაზე.

სადისერტაციო კვლევის მიზანი - საფრანგეთის ადგილობრივი თვითმმართველობის გამოცდილების გაანალიზება, რომელსაც მუნიციპალური სისტემის თავისებური შერეული მოდელი გააჩნია. ამ სისტემის გაზიარება და მისი ქართულ რეალობაზე მორგების მცდელობა, შეძლებისდაგვარად ყველაზე ოპტიმალური ვარიანტის შემუშავება.

ამოცანების გადაწყვეტა - დასახული მიზნის მაქსიმუმის მიღწევა, საშუალებას მოგვცემს ჩამოვაყალიბოთ კონკრეტული დასკვნები ამ სფეროში არსებულ მდგომარეობაზე და შევიმუშაოთ სათანადო რეკომენდაციები ქართული ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციური მოწყობის შესახებ, რაც საბოლოო შედეგად დემოკრატიული მართვის პრინციპებზე დაფუძნებულ, კარგად ორგანიზებულ სახელმწიფოს მოგვცემს, რომელიც სრულ შესაბამისობაში იქნება ქართულ მენტალობასთან და ამავდროულად სრულად დააკმაყოფილებს განვითარებული ქვეყნების ყველა აუცილებელ სტანდარტს.

კვლევის ჰიპოტეზა - წარმოადგენს შემდეგ ვარაუდებს:

ევროპის განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებული ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის იმპლემენტაცია ქართულ რეალობაში შესაძლებელია მოხდეს, მხოლოდ საქართველოს ისტორიული, გეოპოლიტიკური, ეკონომიკური, მენტალური და სხვა ფაქტორების

გათვალისწინებით, რომელთაც შესაძლოა გარკვეული ზეგავლენა გააჩნდეთ ჩვენს ქვეყანაში მოცემული სისტემის განვითარების პროცესზე.

ამ ეტაპზე საქართველოში, რომელიც მკაცრად ცენტრალიზებული მმართველობის ისტორიული გამოცდილების მქონე უნიტარული სახელმწიფოა, ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების უდიდესი წილი თბილისსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე მოდის. აქედან გამომდინარე, ამ მონაცემებით ადგილობრივი თვითმმართველობის ფისკალური დეცენტრალიზაცია არარეალურია.

ქართველი საზოგადოების ცნობიერება ჯერ კიდევ არ არის მზად სრულად დეცენტრალიზებული სისტემის მიღებისთვის, თვითმმართველობის მართვაში საკუთარი როლის გათვითცნობიერებისა და მასში მონაწილეობისთვის.

დაბალი და არასაკმარისია იმ მოხელეთა თვითშეფასება და კომპეტენცია, რომლებზეც დამოკიდებულია დეცენტრალიზებული ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო ადმინისტრირება.

დღეს, ქართული რეალობისთვის გაცილებით მიზანშეწონილია ადგილობრივი თვითმმართველობის ჰიბრიდული მმართველობის სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც მხოლოდ შეზღუდული მიმართულებით დეცენტრალიზებულ თვითმმართველობას გულისხმობს.

გამოკვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს კვლევის საგნისადმი სისტემური მიდგომა. მასში გამოყენებულია სტრუქტურულ-ფუნქციონალური, ისტორიული, ლოგიკური და შედარებითი ანალიზის მეთოდები. თეორიულ საფუძველად აღებულია ადგილობრივ თვითმმართველობაში სახელმწიფოებრიობისა და საზოგადოებრივი საწყისების ჰარმონიული შერწყმის თეორია.

დემოკრატიის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, ერთის მხრივ მუნიციპალური სისტემა უნდა წარმოადგენდეს დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ინსტიტუტს, მეორე მხრივ, დამოუკიდებლობის დონე განსაზღვრული უნდა იყოს იმავე საზოგადოების მზაობიდან გამომდინარე,

რაც დამოკიდებულია მის ისტორიულ მემკვიდრეობას და არსებულ ეკონომიკურ, თუ მენტალურ მაჩვენებლებზე. ამისთვის გამოყენებულია, როგორც ქართველი და უცხოელი მეცნიერების ფუნდამენტური კვლევის ანალიზი, ასევე პრაქტიკული კვლევა, რომელიც წარმოაჩენს ქართული საზოგადოების დამოკიდებულებას სახელმწიფოსა და თვითმმართველობის გამიჯვნასთან დაკავშირებით.

კვლევის პროცესში, საკვლევი კითხვებიდან და კვლევითი ამოცანებიდან გამომდინარე, ჰიპოთეზის შესამოწმებლად გამოყენებული იქნა კვლევის შერეული ტიპი, თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდებით. კვლევა განხორციელდა გამოკითხვის საშუალებით, რისთვისაც შემუშავდა სპეციალური კითხვარის ორი ტიპი.

პირველი ტიპის კითხვარი დემოგრაფიული ბლოკის გარდა, მოიცავს 12 დახურულ შეკითხვას თავისი ქვეკითხვებით. ფოკუს ჯგუფს წარმოადგენდა 20-დან 60 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის ის მოქალაქეები, რომლებიც არ არიან დასაქმებული საჯარო სამსახურში და არ წარმოადგენენ პარტიულ აქტივს. სულ გამოკითხული იყო ერთი მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრები 150 რესპოდენტი. გამოკითხვით გამოიკვეთა, რომ მოქალაქეების თანამონაწილეობისა და ინფორმირებულობის დონე მუნიციპალური ხელისუფლების საქმიანობის, მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ შესამჩნევად დაბალია, რაც ნეგატიურად აისახება ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაზე.

ხოლო მეორე ტიპის კითხვარი განკუთვნილი იყო 18-დან 60 წლამდე საჯარო მოხელეებისთვის, რომელიც დემოგრაფიული ბლოკის გადა მოიცავს 11 დახურულ შეკითხვას ქვეკითხვებით. ინტერვიურებული იყო 60 მოხელე, რომელთა უმრავლესობა დასაქმებული არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოში, ხოლო მცირე ნაწილი საკანონმდებლო ორგანოში. მაქსიმალურად იყო დაცული გენდერული ბალანსი. კვლევის შემდგომ დამუშავებული მონაცემების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ

საჯარო მოხელეთა თვითშეფასება და კომპეტენცია არასაკმარისია იმისთვის რომ ამ ეტაპზე შევძლოთ სრულად დეცენტრალიზებული თვითმმართველობის ჩამოყალიბება.

საერთო ანალიტიკური ანალიზის საფუძველს ეფუძნება მოსაზრება, რომ იმ ადამიანების ცნობიერება, რომლებსაც დიდი როლი აკისრიათ რეალურად ავტონომიური თვითმმართველობის შექმნაში, ჯერ კიდევ არ არის მზად სრულიად დამოუკიდებელი მმართველობის მუნიციპალიტეტის არსებობისათვის.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე - სადისერტაციო ნაშრომშიწარმოდგენილია ახლებური მიდგომა ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის ფორმირებასთან მიმართებაში. ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი მუნიციპალური მმართველობის გრძელვადიანი სტრატეგია გათვლილია მმართველობის სრულად დეცენტრალიზებულ სისტემაზე, როგორც დემოკრატიის განვითარების უალტერნატივო გზაზე. სწორედ აღნიშნული საკითხისადმი განსხვავებული მიდგომა წარმოადგენს თემის სპეციფიურ მახასიათებელს, სადაც ანალიზის შედეგად გვინდა დავამტკიცოთ, რომ დემოკრატიის ხარისხს განსაზღვრავს არა *მუნიციპალური მართვის დეცენტრალიზებული ფორმა, არამედ ქვეყნის გეოპოლიტიკური, ეკონომიკური და ისტორიული ტრადიციებიდან გამომდინარე გააზრებულად შერჩეული მმართველობითი კომპეტენციების დანაწილების სისტემა.*

ყველა იმ გარე ფაქტორის შესწავლის შემდეგ, რომელიც გავლენას ახდენს ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმირებაზე, წარმოვადგინეთ მუნიციპალური მმართველობის განვითარების ახალი ხედვა, რომელიც წარმოადგენს მმართველობის ჰიბრიდულ სისტემას და განსხვავდება თანამედროვე პოლიტ-ელიტაში არსებული პოპულისტური მიდგომისაგან.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა -წინამდებარე კლევის მოსალოდნელი შედეგები და რეკომენდაციები შესაძლებელია

გამოყენებული იქნას იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რაც ზოგადად ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანობას გულისხმობს.

საერთოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართ ბევრი კითხვა კვლავ პასუხგაუცემელია. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ საქართველოში ფაქტიურად დღემდე არ არსებობს რეალური სტრატეგია, თუ როგორ განხორციელდეს ძალაუფლების განაწილება იმისთვის რომ განვითარებული, ქმედითუნარიანი თვითმმართველობა მივიღოთ. სადისერტაციო თემის მიზანს სწორედ ამ პრობლემების გადაჭრაში გარკვეული წვლილის შეტანა წარმოადგენს.

რამდენადაც თვითმმართველობის საქმიანობის ეფექტურობა ბევრად არის დამოკიდებული სხვადასხვა მექანიზმების გამართულ მუშაობასა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სწორად ჩამოყალიბებულ ინსტიტუციურ მოწყობაზე, კვლევა მიმართულია ქართული რეალობისთვის ყველაზე უფრო ეფექტური სისტემის შესაქმნელად, რაც მიიღწევა სათანადო ანალიზის გაკეთებითა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებით.

დისერტაციის სტრუქტურა: აღნიშნული დისერტაცია მოიცავს 145 ნაბეჭდ გვერდს, რომელიც წარმოდგენილია შემდეგი სტრუქტურის სახით: შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა, ოთხი თავი, დასკვნა, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

შესავალ ნაწილში წარმოდგენილია საკვლევი თემის აქტუალობა, მისი მიზანი და ამოცანები, კვლევის ჰიპოთეზა, ობიექტი და საგანი. ასევე, გამოკვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი, ნაშრომის მეცნიერული სიახლე, მისი პრაქტიკული მნიშვნელობა და გამოყენების სფერო და ბოლოს გამოყენებული ლიტერატურის ნაწილის მიმოხილვა.

ლიტერატურის მიმოხილვაში წარმოდგენილია საფრანგეთისა და საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციური ანალიზისადმი მიძღვნილი ნაშრომები.

ლევან იზორიას ნაშრომში „თანამედროვე სახელმწიფო თანამედროვე ადმინისტრაცია“, საინტერესოაა წარმოჩენილი სახელმწიფო მართვის თანამედროვე ტენდენციები და პრაქტიკა. საინტერესოა ავტორის ხედვა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების შესაბამისი ინსტიტუციონალურ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით, რომელთა გარეშე წარმოდგენილად მიაჩნია ნებისმიერი ქვეყნის ამბიცია, გახდეს თანამედროვე ცივილიზაციის სრულფასოვანი წევრი.

მონოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი თანამედროვე სახელმწიფოსა და მისი ადმინისტრაციის სხვადასხვა ასპექტებს. ყურადსაღების ავტორისეული მიდგომა კონცეფციებისა და საჯარო ადმინისტრაციის სისტემების განვითარებული ქვეყნებიდან კონკრეტული რეალობის გაუთვალისწინებლად გადმოტანასთან დაკავშირებით. საეჭვოა ბრმად „კოპირებულმა“ მოდელებმა დადებითი შედეგი მოუტანოს ქვეყანას. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი კონკრეტული ისტორიული სიტუაციის პრაგმატული ანალიზი და აქედან გამომდინარე რეფორმების პრიორიტეტების განსაზღვრა.

როდესაც საუბრი ეხება ადგილობრივი თვითმმართველობის დამკვიდრებას საქართველოში, შეუძლებელია ყურადღების ქვეშ არ მოექცეს ისეთი სამეცნიერო ნაშრომი, როგორცაა **ოთარ მელქაძის და გიორგი თევდორაშვილის „რეგიონალიზმი - სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაციის ფორმა: ქართულ პრობლემებთან დაკავშირებით“** მასში მოცემულია რეგიონალიზმის ძირითადი მახასიათებლები და შესაბამისად მისი განმასხვავებელი ნიშნები სხვა ფორმებისგან, აგრეთვე რეგიონალიზმის შესაძლებლობები, მათ შორის ეთნოკონფლიქტისა და უმცირესობის პრობლემების მოგვარება და სახელმწიფო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა. განხილულია რეგიონალიზმის სხვადასხვა ევროპული ქვეყნის მოდელი და მისი რეალური ქართული პერსპექტივა.

მასში გათვალისწინებულია სხვადასხვა პროექტებში განხორციელებული კვლევები. ავტორები, თანამედროვე ეპოქის ჭრილში აანალიზებენ და წარმოაჩენენ საქართველოს პოლიტიკურ-ტერიტორიული ორგანიზაციის პრობლემებს და ცდილობენ წარმოადგინონ მათგან თავის დაღწევის გზები სხვა ქვეყნების გამოცდილებებზე დაყრდნობით.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ი. მესხიას, გ. შიხიაშვილისა და ა.კვარაცხელიას თანაავტორობით გამოცემული მონოგრაფია - ადგილობრივი მართვის ორგანიზაცია საზღვარგარეთის ქვეყნებში. მასში ავტორები განსაზღვრავენ კონსტიტუციონალიზმის არსს, რომელიც სახელმწიფოსა და საზოგადოების ძირითად კანონსა და მათი ურთიერთობის უმთავრეს განმსაზღვრელ აქტს წარმოადგენს. სწორედ, კონსტიტუციური სისტემის საფუძვლები განაპირობებს ადგილობრივი მმართველობის სტილსა და რაციონალურობას. მეტი თვალსაჩინოებისთვის, ნაშრომში განხილულია ევროპის ისეთი წამყვანი ქვეყნების ადგილობრივი მმართველობის სისტემები, როგორცაა საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი და იტალია, რაც კიდევ უფროს მნიშვნელოვანს ხდის მას ჩვენი კვლევის პროცესში.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიღებით, მნიშვნელოვნად შეიცვალა ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მანამდე არსებული ინსტიტუციური სტრუქტურა. ამ ცვლილებით, თვითმმართველობის ცენტრალური ფიგურა გახდა გამგებელი, რომელიც ამავდროულად მუნიციპალიტეტის მთავარ მმართველს წარმოადგენს, თუმცა მანამდე ეს ფუნქცია საკრებულოს თავმჯდომარეს ეკისრა.

ამ ცვლილებამ გარკვეული დაბნეულობა შეიტანა ადგილობრივი მმართველობის განმახორციელებელ სტრუქტურებში. სწორედ აღნიშნული პრობლემის წარმოშობამ გამოიწვია „ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მართვის სამართლებრივი ასპექტების“ შესახებ სახელმძღვანელოს შექმნა, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი საქართველოს თანამედროვე ადგილობრივი თვითმმართველობის

ინსტიტუციური მოწყობა და მოქმედი სამართლებრივი ასპექტები. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული მონოგრაფია უახლოეს ინფორმაციას შეიცავს ქართულ რეალობაში ინსტიტუციური მოწყობისა და უფლებამოსილებათა გადანაწილების შესახებ. ზოგადად, სახელმძღვანელოს მიზანია, დახმარება გაუწიოს მოქმედ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს, კოდექსით დადგენილი უფლებამოსილებების ოპტიმალურ გადანაწილებასა და განხორციელებაში.

საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპების, ფუნქცია-მოვალეობების, ადმინისტრაციული საქმიანობის ძირითადი წესისა და პრინციპების, მუნიციპალიტეტის ფინანსებისა და ფაქტიურად ყველა იმ საკითხის შესახებ ინფორმაციას, რომელიც უშუალოდ კავშირშია ადგილობრივ თვითმმართველობასთან გვაწვდის ავტორთა ჯგუფის მიერ (დავით ლოსაბერიძე, კონსტანტინე კანდელაკი, მამუკა აბულაძე, ოთარ კონჯარია) გამოცემული სახელმძღვანელო - **ადგილობრივი თვითმმართველობა**. მასში განხილულია ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება საქართველოში - ანტიკური ხანის ტრადიციებზე დაფუძნებული სათემო ინსტიტუტებიდან დაწყებული, თანამედროვე მუნიციპალური სისტემით დამთავრებული. ნაშრომში განსაკუთრებით არის ხაზგასმული მოქალაქეთა მონაწილეობის მნიშვნელობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში, რომელიც ითვალისწინებს მოქალაქის მიერ საკუთარი ნების დაფიქსირების მაღალ კულტურას და მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ გადწყვეტილებების მიღებისა და მათი განხორციელების პროცესზე ზემოქმედების უნარს, რაც დემოკრატიის ერთ-ერთი ფუნდამენტური მახასიათებელია.

ქართული ადგილობრივი თვითმმართველობის ანალიზისთვის, ასევე ძალზედ მნიშვნელოვანია „**ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში 1991-2014**“, რომელშიც აღწერილია საბჭოთა წყობის

დაშლის შემდეგ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 2015 წლამდე თვითმმართველობის სისტემაში არსებული ძირითადი ტენდენციები და პრობლემატიკა. პუბლიკაცია მოიცავს ხუთ ძირითად თემას და თითოეული მომზადებულია შესაბამისი სფეროს სხვადასხვა ექსპერტის მიერ. აღსანიშნავია ისიც, რომ თითოეული მათგანი უშუალოდ დებულობდა მონაწილეობას ახალი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მომზადებაში და აქედან გამომდინარე ნაშრომში უფრო რეალურად იგრძნობა ის პოლიტიკური პროცესი და განწყობა, რომელიც რეფორმის გატარებას უძღვრება წინ.

ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების მდგომარეობას, მის პრობლემებსა და ხელის შემშლელ ფაქტორებს ეძღვნება ვაჟა მანიას სადისერტაციო ნაშრომი „ადგილობრივი დემოკრატიის განვითარება-ეფექტიანი საჯარო მმართველობის საფუძველი საქართველოში“. ნაშრომში გაანალიზებულია სამოქალაქო აქტივობის სუბიექტების რაციონალური განწყობები, დაინტერესებული ჯგუფების ქმედებები და განხილულია ამ პროცესში წარმოქმნილი დილემები და მათი დაძლევის საშუალებები. აღნიშნულის და ასევე მსოფლიოს წამყვანი დემოკრატიული სახელმწიფოების გამოცდილების გათვალისწინებით, ავტორს ჩამოყალიბებული აქვს საქართველოში მიმდინარე პროცესებში სამოქალაქო აქტივობის ანალიზის ინსტრუმენტი - სამოქალაქო აქტივობის სტრუქტურირებული დონეების გარდამავალი კიბე, ლოკალური აქტივობის საწყისი დონიდან პოლიტიკური საქმიანობის უმაღლეს დონემდე. დისერტანტი წარმოგვიდგენს ადგილობრივი დემოკრატიის მისეულ დეფინიციას, რადგან მიაჩნია, რომ მანამდე არსებული განმარტებები არც თუ ისე ზუსტად ასახავდნენ ადგილობრივი დემოკრატიის კონცეფციის არს და მხოლოდ პოლიტიკური და სოციალური ძალების არსებობის კონსტატაციას ახდენენ.

ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად ბესიკ კაიშაური მოქალაქეთა ჩართულობის დაბალ დონეს,

მოხელეების დაბალ კვალიფიკაციას, მოტივაციის არ ქონას და სხვა გარემოებებს მიიჩნევს თავის სადისერტაციო ნაშრომში - **ადგილობრივ თვითმმართველობაში გადაწყვეტილების მიღების თანამედროვე სისტემები და პერსპექტივები (ქალაქ გორისა და გორის მუნიციპალიტეტების ქეისი)**. საიდანაც ვფიქრობ ყველაზე მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორად ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში მისიისა და სტრატეგიის არ არსებობა წარმოადგენს, რასაც ემატება საზოგადოების სამოქალაქო შეგნების დაბალი ხარისხი. ავტორი მიიჩნევს, რომ შეუძლებელია მუნიციპალიტეტის ეფექტურობასა და ეფექტიანობაზე საუბარი, მართვის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გარეშე, ვინაიდან მუნიციპალური მართვის მთავარ სუბიექტს ის თავად წარმოადგენს და მხოლოდ მათ მიერ არჩეული წარმომადგენლების გადაწყვეტილება ვერ იქნება საკმარისად ეფექტური თანამონაწილეობის, პარტნიორობისა და კონტროლის გარეშე.

ძალიან საინტერესოა შოთა დოლონაძის და გენადი იაშვილის მონოგრაფია „**საჯარო სამსახური საქართველოში: რეფორმები, გამოწვევები - ელექტრონული მთავრობა**“, რომელშიც სიღრმისეულად არის გაანალიზებული საჯარო სამსახურის ევოლუციის პროცესი საქართველოში. აღნიშნულმა ინსტიტუტმა, ვიდრე იმ სახეს მიიღებდა რომელიც დღეს გააჩნია, რეფორმების ხანგრძლივი პერიოდი გაიარა და ხშირად იყო სხვადასხვა გამოწვევების წინაშე. სწორედ ამ პროცესზე და საჯარო მართვის ორგანიზებაზე არის საუბარი მოცემულ ნაშრომში, სადაც განხილულია საჯარო მართვის ზოგადი სტრატეგია და მისი როლი საჯარო ადმინისტრირებაში, რაც აუცილებელი კომპონენტია სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობისთვის.

საფრანგეთის სახელმწიფო მოწყობაში, რომელიც მრავალდონიანი მმართველობის სისტემით გამოიხატება, განსაკუთრებულ თავისებურებას წარმოადგენს კომუნალური გაერთიანებები. მათი არსებობის მიზანშეწონილობის განხილვას და ქვეყნის ტერიტორიულ-მმართველობის მოწყობას ბევრი მეცნიერის ნაშრომი მიეძღვნა. კომუნალური

გაერთიანებების თეორიულ ანალიზს მოიცავს მიშელ ევრეს ნაშრომი - **კომუნალური გაერთიანებები და ადგილობრივი მმართველობა: საფრანგეთის დასავლეთის დეპარტამენტების მაგალითზე.**

რატომ თანხმდებიან ან უარყოფენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ქალაქების, კომუნების ან თუნდაც უბნების გაერთიანებას? ან რა გავლენას ახდენს კომუნების დაჯგუფება ადგილობრივ მართვაში? ავტორი მისეული ანალიზით ცდილობს მოგვამიებინოს პასუხები ამ და სხვა ამ ტიპის შეკითხვებზე. მიშელ ევრე, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორია, რომელსაც მრავალი სამეცნიერო ნაშრომი აქვს მიძღვნილი თვითმმართველობისა და სხვადასხვა გაერთიანებების თემაზე, თუმცა 1999 წელს გამოცემულ მითითებულ წიგნში, ის პირველად გვთავაზობს მათ სიღრმისეულ ანალიზს.

ნაწარმოები გაცილებით მრავლისმთქმელია ინტერკომუნების შესახებ და გადმოსცემს მთელ მათ თავისებურებებს, საუბრობს ადგილობრივი მმართველობის სისტემაზე, რადგან ეს უკანასკნელი წარმოადგენს სახელმწიფო მართვის ერთ-ერთ უმთავრეს ასპექტს, ვინაიდან მისი პოლიტიკური სტრატეგია სცილდება ადგილობრივ არეალს. ავტორი, მეტი თვალსაჩინოებისთვის, დასავლეთ საფრანგეთის დეპარტამენტების ანალიზს ახდენს უფრო ზუსტად კი შეისწავლის ბრეტანის 6 დეპარტამენტს და ლუარას მხარეს, სადაც კომუნალური გაერთიანებები უფრო ფართოდ არის განვითარებული.

ვრცლად არის წარმოდგენილი საფრანგეთში 1982 წელს განხორციელებული რეფორმის მეთოდი და ეტაპები **ერიკ გიუილის** სამეცნიერო შრომებში - *Il y a 30 ans, l'acte I de la décentralisation ou L'histoire d'une révolution tranquille*. ეს არის ეპოქა, რომელმაც ფაქტიურად დასაბამი მისცა ფრანგული დეცენტრალიზაციის პრინციპებს. მასში ფართოდ არის გაანალიზებული, როგორც განვითარების მექანიზმები, ასევე მისი საბოლოო შედეგები. ამავე დროს, დეცენტრალიზაციის ფუნდამენტური საკითხების ანალიზის გარდა, ავტორი გვთავაზობს განხორციელებულ რეფორმებთან

დაკავშირებით საზოგადოების რეაგირების განხილვას და დეცენტრალიზაციის მესამე აქტის შესახებ არსებულ მიმდინარე დებატებს.

ნაშრომი განსაკუთრებით საინტერესოა იმის გათვალისწინებით, რომ ავტორი, რომელიც დღეს სახელმწიფო საბჭოს საპატიო წევრია, უშუალოდ დებულობდა მონაწილეობას 1982-86 წლების პირველ საკანონმდებლო ბაზის შედგენაში, რომელიც საფრანგეთში დეცენტრალიზაციის დასაწყისის რეალური საფუძველი გახდა. გარდა მოცემული პერიოდის მიმოხილვისა, გიული ასევე გვთავაზობს 2003 წლის კონსტიტუციური რეფორმისა და 2010 წლის 16 დეკემბრის კანონის სინთეზურ ანალიზსაც.

2010 წლის 16 დეკემბრის საკანონმდებლო აქტი, საფრანგეთის ტერიტორიული გაერთიანებების რეფორმას შეეხება, რომლის შესახებაც ასევე დეტალურად არის განხილული სამეცნიერო ნაშრომში - Dossier « Les collectivités territoriales: trente ans de décentralisation » ფილიპ ტრონკუას ხელმძღვანელობით და აღნიშნული პერიოდი დეცენტრალიზაციის აღორძინების პერიოდად მოიხსენიება. ნაშრომი სამი ნაწილისგან შედგება, რომელთაგან პირველი მოიცავს დეცენტრალიზაციის მიმართულებით საფრანგეთის მიერ განვლილ გზას. მეორე ნაწილში აღწერილია გატარებული რეფორმების სრულყოფილი ანალიზი და ბოლოს დეტალურად არის განხილული თანამედროვე საფრანგეთის ადმინისტრაციული მოწყობა. ავტორთა ჯგუფი ერთის მხრივ ახდენს დეცენტრალიზაციის პოლიტიკის შეფასებას და მეორე მხრივ განიხილავს დეკონცენტრაციისა და დეცენტრალიზაციის შედარებით საკითხებს.

ვფიქრობ, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ჟერომ დუბუას მონოგრაფია ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსების შესახებ - Gestion des collectivités locales et financement des projets territoriaux. ნაშრომი განსაკუთრებულ ინტერესებს იწვევს იქიდან გამომდინარე, რომ მისი ავტორი პოლიტიკოსი პროფესორი დუბუა, ამავდროულად წარმოადგენს საფრანგეთის ერთ-ერთ პატარა კომუნის მერს (პროვანსის რეგიონში), რაც მის პუბლიკაციას მეტ პრაქტიკულ ღირებულებას სძენს. დაუსრულებელი

დეცენტრალიზაცია, სახელმწიფოს დომინანტური როლი ადგილობრივი ფინანსების მართვაში და სამომავლო გეგმების დასახვა, მონოგრაფიის საკვანძო თემებს წარმოადგენს. ნაშრომი გაჯერებულია მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტებისა და პრაქტიკის შეპირისპირებული ანალიზით, რომელიც მხოლოდ მუნიციპალური ფინანსების განხილვით არ შემოიფარგლება და ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიულ მოწყობასაც მიმოიხილავს.

გარდა მიმოხილული ლიტერატურის ამ მცირე ნაწილისა, სადისერტაციო თემაზე კვლევის პროცესში მოხდა სხვა მრავალი სამეცნიერო ლიტერატურის, მონოგრამის, თუ სტატიის დამუშავება და შესაბამისი დასკვნის მიღება. განხილული იყო, როგორც ქართული ასევე უცხოური ლიტერატურა. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ოფიციალურ ვებ-გვერდებზე განთავსებულ ინფორმაციებს და თემატიკის ირგვლივ არსებულ საკანონმდებლო ბაზას. ასევე მოძიებული იქნა სხვა წყაროები, რომლის ანალიზიც ღირებული შეიძლება ყოფილიყო ნაშრომის სრულყოფისათვის.

პირველი თავი - ადგილობრივი თვითმმართველობა - შეეხება თვითმმართველობის ზოგად მიმოხილვას. განხილულია სახელმწიფო და მისი ინსტიტუციები, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზებაზე არიან ორიენტირებული და საზოგადოების მიერვე ფინანსდებიან. ამგვარად, სახელმწიფო მართვის რამდენიმე ინსტიტუტს აერთიანებს, რომელიც მოიცავს აღმასრულებელ ხელისუფლებას, საკანონმდებლო ორგანოებს, სასამართლოს, თვითმმართველობის ადგილობრივ და რეგიონალურ ინსტიტუტებს და ა.შ.

ნაშრომში მოცემულია ადგილობრივი თვითმმართველობის ცნება, როგორც მოქალაქეთა თვითორგანიზაციული სტრუქტურა ადგილობრივი სოციალური პრაქტიკული საკითხების გადასაჭრელად, რომლის შექმნის უმთავრეს მიზეზს, თუ მიზანსაც მათი გადაწყვეტა წარმოადგენს. ამისთვის ის ახლოს უნდა იყოს მოსახლეობასთან, რათა ზუსტად განსაზღვროს

საჭიროებები და ის ადგილობრივი ნიუანსები, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია და შემდეგ აქედან გამომდინარე ეფექტური და ადეკვატური მომსახურება გაუწიოს საზოგადოებას.

ასევე განხილულია თვითმმართველობის ევოლუცია, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ვითარდებოდა და სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვანაირად მიმდინარეობდა. მკვეთრი სხვაობა გამოიხატებოდა, როგორც მოსახლეობის რაოდენობებში, რომელიც საშუალოდ დაახლოებით 1500 (საფრანგეთი) მცხოვრებიდან 250000 (გაერთიანებული სამეფო) მცხოვრებამდე მერყეობს და თავისთავად თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიულ მოცულობებზეც აისახება, ასევე სუბნაციონალური დონეების მხრივაც (დაწყებული ოთხი დონიდან, დამთავრებული ერთი დონით). თუმცა, ქვეყნებს შორის ასეთი განსხვავება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, არსებულმა ისტორიულ-ტრადიციულმა მემკვიდრეობამ განაპირობა და არა, საერთაშორისოდ აღიარებულმა სტანდარტებმა.

საზოგადოების გარკვეულ ნაწილში დომინირებს აზრი, რომ მართვის ცენტრალური სისტემა პირდაპირ მიაწოდებს გაბატონებულ ტოტალიტარულ რეჟიმზე, მაშინ როდესაც დეცენტრალიზაცია უფრო ლიბერალურ-დემოკრატიულ სახელმწიფოს არსებობასთან ასოცირდება. აღნიშნულს განაპირობებს, ის ისტორიული წინაპირობა, რომ ტოტალიტარული, თუ დიქტატორული სახელმწიფოებისთვის, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს თითქმის ყოველთვის მართვის მკაცრად ცენტრალიზებული სისტემა წარმოადგენდა, როდესაც ყველა ტიპის ძალაუფლება ერთი პირის ხელში იყო თავმოყრილი, რაც მართვაში საზოგადოების ჩართულობას თავისთავად გამორიცხავდა. დისერტაციის გარკვეულ მიზანს, სწორედ ამ სტერეოტიპის დამსხვრევა წარმოადგენს, რადგან სინამდვილეში ცენტრალიზაციის, თუ დეცენტრალიზაციის პრობლემა ისეთივე მარტივი სრულიად არ არის, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. ძნელია მათ შორის იდეალური ვარიანტის შერჩევა, თუმცა

რადიკალური მიდგომა ორივე შემთხვევაში არასასურველ შედეგს წარმოშობს. მთავარი იმ ზღვარის დაცვაა, რომელიც პერიფერიულ ხელისუფლებას მისცემს საშუალებას იყოს ხიდი ცენტრალურ ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის, უზრუნველყოს მათი ინტერესების დაცვა და ყოფითი საკითხების მოგვარება, რისთვისაც შესაბამისი უფლებამოსილება და რესურსი ესაჭიროება.

მეორე თავი - საჯარო მმართველობის ფრანგული ტრადიცია - განიხილავს საფრანგეთის პოლიტიკურ სისტემასა და ადმინისტრაციულ მოწყობას საფრანგეთში. ფაქტია, სახელისუფლებო მართვა აქ ყოველთვის მკაცრად იყო ცენტრალიზებული. საუკუნეების განმავლობაში ცდილობდა საფრანგეთის მონარქია, ცენტრალიზებული ეკონომიკური და სამხედრო ძალაუფლების საშუალებით, მაქსიმალურად ეკონტროლებინა მემბოხე პროვინციელი დიდებულები. 1789 წლის რევოლუციამ, მართალია მონარქია დაშალა, მაგრამ სამაგიეროდ შეინარჩუნა მკაცრად ცენტრალიზებული ეროვნული ადმინისტრაცია, რომელიც ერთიანდებოდა პარიზში. ამ მხრივ ცვლილებები მხოლოდ 1981 წლის შემდგომი პერიოდიდან დაიწყო, როდესაც საფრანგეთის სოციალისტურმა პარტიამ, ფრანსუა მიტერანის ლიდერობით, გაიმარჯვა საპრეზიდენტო არჩევნებში და საფრანგეთის დეცენტრალიზაციის გეგმის განხორციელებას შეუდგა. ამას მოჰყვა მთელი რიგი რეფორმებისა, თუმცა მიუხედავად ამისა საფრანგეთი ვერ განთავისუფლდა ცენტრალიზებული მართვის სისტემისგან და ფაქტიურად, არც ყოფილა ბოლომდე ამის მცდელობა.

საბოლოოდ ქვეყანაში გამოიკვეთა პოლიტიკური სტრატეგია, მყარად დაფუძნდეს ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ისეთი შერეული სისტემა, რომელიც ერთი მხრივ არ იქნება გასული დემოკრატიული პრინციპების ჩარჩოდან და პარალელურად შეინარჩუნებს სახელმწიფოს ცენტრალური მართვის მახასიათებლებს. რეალურად, საფრანგეთის მმართველობის განაწილება რეგიონალურ და ადგილობრივ ხელისუფლებაზე, უფრო ადმინისტრაციულ მიზნებს ემსახურება, ვიდრე

ადგილობრივი პოლიტიკის გატარებას, რომელსაც მართალია შეზღუდული, მაგრამ გარკვეული ადმინისტრაციული თავისუფლება გააჩნია.

დისერტაციაში ხაზი აქვს გასმული საფრანგეთის მძლავრ ბიუროკრატიულ აპარატს, რომლის ნიმუშები უხვად გვხვდება ყოველდღიურ ცხოვრებაში. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლების ყველა დონე უხვადაა გაჯერებული ბიუროკრატიული მექანიზმებით. მთავრობა, საავადმყოფოები, სასამართლოები, სამინისტროები, სკოლები, თუ სხვა ადმინისტრაციული ორგანოები, რომელთა ჩამოთვლაც ძალიან შორს წაგვიყვანს, შეიძლება ითქვას, რომ კარგად განვითარებული ბიუროკრატიული სისტემის ეტალონს წარმოადგენს. ყველაზე რთულად საზოგადოების ცნობიერებაზე ბიუროკრატია ჩინოვნიკის გულგრილობა აისახება, რომელიც არ გადის დაწესებულ ჩარჩოებს მიღმა და ერთსახოვანი დამოკიდებულება გააჩნია ნებისმიერი შემთხვევის მიმართ. საქმისადმი ასეთი ხისტი მიდგომა, ფაქტიურად ადგილს აღარ ტოვებს მოხელის ინიციატივებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებისთვის და მთლიანად ბიუროკრატიულ რუტინაზეა აგებული. რუტინა კი თავისთავად ყოველივე პროგრესულის ჩამხშობი მდგომარეობაა, რომელიც თავისი ბუნებიდან გამომდინარე თავისთავად ვერ იქნება თავისუფალი საზოგადოებისთვის სასარგებლო.

ბიუროკრატის აპარატთან მიმართებით განსაკუთრებული ყურადღება გამოიწვია მისმა პირდაპირმა კავშირმა ცენტრალიზებული მმართველობის სისტემასთან. რაც მეტი ბიუროკრატიული ელემენტი შემოდის ფრანგულ ყოფიერებაში, მით მეტად იზრდება ვერტიკალური მმართველობის დონე ქვეყანაში.

საფრანგეთის ადგილობრივი მოწყობა განუყოფელია საჯარო ადმინისტრირების ცნებისგან, რომელიც პოლიტიკური ნების გატარებისა და დემოკრატიის ფუნქციონირებისათვის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია და ყველაზე უკეთ წარმოაჩენს ქვეყანაში არსებულ

სიტუაციას. ყველაზე მიმზიდველს ფრანგულ საჯარო სამსახურში წარმოადგენს ის, რომ მიუხედავად ყველაფრისა მაინც შენარჩუნებულია საჯარო მოხელის პოლიტიკური წნეხისგან თავისუფლების საკმაოდ მაღალი ხარისხი. პირებს, რომლებიც დასაქმებულნი არიან საჯარო სამსახურში, მუდმივი პოზიციები უკავიათ.

როდესაც ფრანგული მმართველობის სისტემაზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ აქ არსებულ პროფესიულ კავშირებს, რომელსაც დიდი გავლენა გააჩნია საზოგადოების მართვის პროცესზე და ქვეყანაში გარკვეულ პოლიტიკურ ამინდს ქმნის. ზოგადად საფრანგეთში პროფკავშირების როლი და მისი ჩართულობის ხარისხი საზოგადოებრივ მმართველობაში, საკმაოდ მაღალია და დასაქმებულთა სოციალური დაცვა მხოლოდ მატერიალური სახის პრივილეგიებს კი არ მოიცავს, არამედ მის ფუნქციას პოლიტიკური და კანონშემოქმედებითი საქმიანობაც წარმოადგენს.

მესამე თავი - საბიუჯეტო პროცესი საფრანგეთში - დაეთმო საფრანგეთის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტს, მის ფინანსურ ავტონომიას და ცენტრალურ ბიუჯეტთან დამოკიდებულებას.

ოფიციალურად საფრანგეთში სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტები ერთმანეთისგან გამიჯნულად არის განსაზღვრული, თუმცა რეალურად ადგილი აქვს კლასიკურ ცენტრალიზაციას, და ფაქტიურად დაბალი დონის ადმინისტრაციული ერთეულების ბიუჯეტი, ზედა საფეხურზე მდგომი ადმინისტრაციული მმართველობის გამტარებელია. საფრანგეთის მთლიანი შემოსავლებისა და ხარჯების დაახლოებით 80 პროცენტის აკუმულირება ცენტრალურ ბიუჯეტში ხდება.

ნაშრომში გაანალიზებული ფაქტებიდან გამომდინარე, საბოლოოდ ნათელია, რომ მიუხედავად აღებული პოლიტიკური კურსისა, საფრანგეთი კვლავ ტრადიციულ-ისტორიული მმართველობის სისტემის ჩარჩოში რჩება მოქცეული, რომლის დეცენტრალიზაციაც მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა. პროცესის შენელების ერთ-ერთი გამომწვევ მიზეზს

ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობაც წარმოადგენს, რომელიც რამდენჯერმე აღმოჩნდა კრიზისის საფრთხის წინაშე და ამდენად ფინანსური დეცენტრალიზაციის განხორციელების გარკვეული პერიოდით გადადება გამოიწვია. ბუნებრივია, არამყარი ეკონომიკა ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსურ ავტონომიას, მით უმეტეს ისეთი ქვეყნებისათვის, რომელთაც ცენტრალიზებული მართვის ხანგრძლივი გამოცდილება გააჩნია.

საფრანგეთის ხელისუფლება ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნებას კვლავ ნახევრად ვერტიკალური პოლიტიკის განხორციელებით ახერხებს, რომელიც ჰარმონიულად არის შერწყმული ადმინისტრაციულ დეცენტრალიზაციასთან და რაც სრულიად ვერ აკნინებს საფრანგეთის დემოკრატიულ იმიჯს.

მეოთხე თავი - ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში - წარმოადგენს ქართული ადგილობრივი თვითმმართველობის ისტორიულ მიმოხილვას, რომელმაც დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე 28 წლიანი პერიოდის განმავლობაში, მეტად რთული და წინააღმდეგობრივი გზა განვლო. ამ ხნის განმავლობაში გამუდმებით განიცდიდა განსხვავებული მოდელების შექმნისა და დამკვიდრების მცდელობას. ის დღესაც რეფორმის პროცესშია, თუმცა უკვე გვაქვს ჩამოყალიბებული გარკვეული ტიპის თვითმმართველობის სისტემა, რომელიც მართალია ჯერ კიდევ შორს არის სრულყოფილებისგან, მაგრამ ამაზე საუბრისას არ უნდა დავივიწყოთ ის ფაქტიც, რომ საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობა მანამდე ათეულობით წლების მანძილზე რუსული ადგილობრივი მმართველობის სისტემის სახით იყო წარმოდგენილი.

ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მეოცე საუკუნის მიწურულიდან მოყოლებული მიმდინარე ცვლილებები, იმდენად ურთიერთწინააღმდეგობრივი იყო, რომ ფაქტია დღემდე ვერ ჩამოყალიბდა ერთიანი, საზოგადოების მიერ ბოლომდე გააზრებული პოლიტიკური ხედვა, თუ რა ფორმის ინსტიტუციური მოწყობა იქნება საქართველოსთვის

უპრიანი, რომელიც მოერგება ქართულ მენტალიტეტს, ტრადიციებს და ჩვენი ქვეყნის მმართველობის საუკუნოვანი ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე რეალობას, რათა ჩამოვყალიბდეთ როგორც განვითარებული დემოკრატიული სახელმწიფო.

ჯერ კიდევ 1991 წელს იყო მცდელობა იმისა, რომ შემდგარიყო რეალიზებული ადგილობრივი ხელისუფლება, რამაც მოცემულ პერიოდში ვერ გაამართლა. 1992-1998 წლებში საქართველო მთლიანად ერთდონიანი მმართველობის სისტემის ქვეშ იყო მოქცეული. 1997 წლის „ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის მიღებამ და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მის საფუძველზე ჩატარებულმა (1998 წ.) პირველმა მუნიციპალურმა არჩევნებმა, დეცენტრალიზაციისთვის თითქოს გარკვეული სტარტაპი შექმნა და შედეგად 1998 წლიდან საქართველოში ადგილობრივი ხელისუფლების შერეული სისტემა ამოქმედდა. თუმცა რეალურად არანაირი ქმედითი ნაბიჯი არ გადადგმულა. ახლად შექმნილი ინსტიტუტები კვლავ ცენტრალიზებული მართვის ძლიერ ნიშნებს ატარებდა. თუმცა, ეს ვერტიკალის შენარჩუნების ერთადერთ მახასიათებელს არ წარმოადგენდა. ერთი ის, რომ ადგილობრივი ხელისუფლება, არსებითად, ცენტრალური ხელისუფლების მმართველობის ორგანოების ტერიტორიული დანაყოფებისგან შედგებოდა. და მეორე, ამ პერიოდისთვის ადგილობრივი თვითმმართველობის ყველაზე მნიშვნელოვან ინსტიტუციურ სისუსტეს, მისი ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსის სიმწირე წარმოადგენდა.

2002 წლიდან თვითმმართველობის განვითარების პროცესში კვლავ მკაცრად ცენტრალიზაციის ტენდენცია გამოიკვეთა. თუმცა, განხორციელდა უმნიშვნელო ცვლილება, 2002 წლის 2 ივნისის არჩევნებზე საკრებულოს წევრების გარდა, ქალაქების მერების არჩევაც პირდაპირი არჩევის წესით მოხდა, გარდა თბილისისა და ფოთის მერებისა, რომელთაც ჯერ კიდევ პრეზიდენტი ნიშნავდა. მაგრამ აღნიშნული, იმ გავლენის

ფონზე, რასაც ცენტრალური ხელისუფლება მთელი ძალით იანრჩუნებდა, თვალეზში ნაცრის შეყრას უფეო ჰგავდა.

ამას მოჰყვა 2006 წლიდან თვითმმართველობის ქვედა საფეხურის გაუქმება იმ მოტივით, რომ ამ გზით რაიონულ დონეს მეტი ფინანსური და ადამიანური რესურსის მობილიზების საშუალება ექნებოდა და მის ნაცვლად, თვითმმართველი ერთეულის ორი სახე განისაზღვრა: მუნიციპალური (რომელიც ადრე არსებულ რაიონს შეესაბამებოდა) და თვითმმართველი ქალაქი (სულ ხუთი: თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი და ფოთი). რეალურად კი რაიონულ დონეზე რესურსების შემცირების პროცესიც მალევე დაიწყო, რასაც თვითმმართველობებზე მანამდე ისედაც არსებული, მაგრამ არაფორმალური ზეწოლის საკანონმდებლო ნორმებით განმტკიცება დაერთო ზედ.

2012 წლიდან ახალმა ხელისუფლებამ ქვეყნის პრიორიტეტად ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერება გამოაცხადა. თითქოს ამ მხრივ გარკვეული ქმედითი ნაბიჯებიც გადაიდგა, შემოიღეს მერის/გამგებლის პირდაპირი არჩევნები და დამატებით შვიდ ქალაქს მიენიჭა თვითმმართველი ერთეულის სტატუსი, მაგრამ ამას არ მოჰყოლია მათთვის სათანადო რესურსებისა და ქონების გადაცემა, ეს კი იმას მოწმობდა, რომ საქართველოსთვის „დეცენტრალიზაცია“ კვლავ შორეულ ოცნებად რჩებოდა და მთელი ის რეფორმები, რომელიც სისტემამ განიცადა, ხელისუფლებისთვის მისაღები საარჩევნო გარემოს შექმნას უფრო ემსახურებოდა, ვიდრე ცენტრალიზებული მმართველობის მოდელის რეფორმირებას.

საქართველოში საბოლოოდ ვერტიკალური მმართველობის სისტემას შეგუებული საზოგადოება ჩამოყალიბდა, რომელიც ჯერ კიდევ ვერ გამოხატავს მზაობას აღიაროს საკუთარი ძალაუფლება და გამოიყენოს საზოგადოებრივი მმართველობის განხორციელების ბერკეტი. ამ თეზისის დასამტკიცებლად დისერტაციაში გაანალიზებულია ქვეყანაში ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების სტატისტიკა. შედეგის

მიხედვით ყველაზე მაღალი აქტივობა 1998 წელს პირველ ადგილობრივ-თვითმმართველობის არჩევნებზე დაფიქსირდა, რომელიც შემდეგ ეტაპებზე მუდმივი კლების რეჟიმში ვითარდებოდა. ეს ტენდენცია თვითმმართველობის არჩევნებისადმი მოსახლეობის ინტერესის ეტაპობრივი შემცირებისაკენ მიუთითებს, რაც ცალსახად ადასტურებს საზოგადოების ნდობის არ არსებობას არა მარტო ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართ, არამედ ხელისუფლებისა და ზოგადად არჩევნების დემოკრატიულობასთან მიმართებით, და რაც ყველაზე შემაშფოთებელია, ნდობის არ არსებობას საკუთარი შესაძლებლობებისა და ძალაუფლებისადმი, რაც მოსახლეობაში სამწუხარო ნიჰილიზმს აღვივებს.

მოცემულ თავში ასევე დეტალურად არის მიმოხილული თვითმმართველობის სტრუქტურისა და საკადრო პოლიტიკა.

ზოგადად, თვითმმართველობის სტრუქტურას საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები შეადგენენ. აქედან საკანონმდებლო ორგანოს მუნიციპალიტეტის საკრებულო წარმოადგენს, რომელსაც ხელმძღვანელობს საკრებულოს თავმჯდომარე. ხოლო აღმასრულებელ ორგანოს მერი, რომელსაც გააჩნია მისადმი დაქვემდებარებული დაწესებულება - მერია.

ნაშრომში განხორციელებული კვლევის შედეგად დგინდება, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში საკადრო პოლიტიკა მჭიდროდაა დაკავშირებული პარტიულ აქტივისტობასთან, რაც საბოლოოდ იმ შედეგს გვაძლევს, რომ რეალურად სტრუქტურებში, რომლებზეც მოქალაქეების ბედია დამოკიდებული, არაკვალიფიციური, შესაბამისი უნარების არ მქონე და პირად ამბიციებზე დამოკიდებული მოხელეები ჭარბობენ. ამ გზით ფორმირებული კადრები, ბუნებრივია, ვერ ართმევენ თავს მათზე დაკისრებულ მოვალეობას და შედეგი მწარე რეალობად ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ ყოფაზე აისახება. ეს კი მძიმე დარტყმას აყენებს საზოგადოების ისედაც შელახულ ნდობას ხელისუფლების მიმართ. ამის დასტურს წარმოადგენს ადგილობრივი საზოგადოების სამოქალაქო აქტივობების სხვადასხვა ფორმებში

ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი. შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობა ფაქტიურად მხოლოდ არჩევნებში მიღწეული აქტივობით შემოიფარგლება და რეალურად არ ხდება მუნიციპალური დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი თანამონაწილეობა.

ასევე პრობლემაა მუნიციპალური ქონების საკითხი, რომელიც იმთავითვე დილემას წარმოადგენდა. ადგილობრივ თვითმმართველობებს ჯერ სრულყოფილად ის მწირი ქონებაც არ გადასცემია, რომლის რესურსიც გააჩნიათ.

დასკვნაში - საბოლოოდ შეჯამებულია წარმოებული კვლევებისა და ანალიზის შედეგები. შეძლებისდაგვარად გაეცა პასუხი კითხვებს - არის თუ არა სრულად ავტონომიური თვითმმართველობა ძლიერი სახელმწიფოს შექმნისთვის იდეალური მოდელი, შეიძლება თუ არა რომ ის ყველა ქვეყნისთვის ერთნაირად სასურველი იყოს და საერთოდ, რეალობაა თუ არა როდესაც დეცენტრალიზაცია პირდაპირ ასოცირდება დემოკრატიასთან, ხოლო ცენტრალიზაცია - ქვეყნის მართვის დიქტატორულ, ტოტალიტარულ რეჟიმთან.

თავის დროზე ფრანგი ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე ალექსის ტოკვილი აღნიშნავდა, რომმომავალში, დემოკრატიის გაფურჩქვნის საუკუნეში, რომელიც აუცილებლად დადგება, ცენტრალიზაცია იქნება მმართველობის ჩვეულებრივი ფორმა, როგორც ნიმუში მართვის ხელოვნებისა, რომლის საფუძველი ადგილობრივი თავისუფლება და პიროვნების დამოუკიდებლობაა. შესაძლოა სწორედ ესა დადგა თანამედროვე მართვის ისევოლუციური პროცესი ცენტრალიზაციის მიმართულებით, რომელიც ტოკვილმა იწინასწარმეტყველა.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ადგილობრივი მართვის ნებისმიერი სისტემა, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება სრულფასოვანი, თუ ჩამოყალიბდება ცენტრალური ხელისუფლებისა და

ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გაწონასწრების სისტემა. ამავე დროს მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია ის ისტორიული, ეკონომიკური, მენტალური და სხვა ფაქტორები, რომელიც ქვეყნის მემკვიდრეობას წარმოადგენენ.

საფრანგეთი ერთ-ერთი იყო იმ ქვეყნებიდან, რომელიც ცენტრალიზებული სახელმწიფოების რიგს განეკუთვნებოდა. რეალურად დეცენტრალიზაციაზე ფიქრი აქ მეოცე საუკუნის შუა პერიოდიდან დაიწყო, რომელიც ვიშის რეჟიმის პერიოდს მიეზღო. შემდეგი მცდელობა მოიცავს გენერალ დე გოლის საპრეზიდენტო მანდატს, რომელიც მიიჩნევდა, რომ ცენტრალიზაციამ ამოწურა მმართველობის თავისი ფორმა საფრანგეთის მაგალითზე და ამიერიდან მნიშვნელოვანი იყო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა დეცენტრალიზაციისკენ. ამ პერიოდიდან დაწყებული რეგიონალური რეფორმა საფრანგეთში მრავალი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. შედეგად საფრანგეთი დღეს ერთ-ერთ ყველაზე დეცენტრალიზებულ ქვეყანად ითვლება, რომელიც ოთხდონიან მმართველობის სისტემას იყენებს (ცენტრი, რეგიონი, კომუნა და დეპარტამენტი), თუმცა მისი დეცენტრალიზაცია ყველაზე მეტად ტერიტორიულ დაყოფასა და ადმინისტრაციულ ავტონომიაში გამოიხატება და სრულებით არ ნიშნავს სრულ მუნიციპალურ დამოუკიდებლობას. საბოლოოდ, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ საფრანგეთი კვლავ ვერტიკალური მმართველობის სისტემას ინარჩუნებს გარკვეული ზომიერების ფარგლებში და ამით ქვეყნის დემოკრატიულ იმიჯს სრულებით არ ემუქრება საფრთხე.

საქართველოც ყოველთვის ცენტრალური პოლიტიკის მატარებელ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომელიც საბჭოთა კავშირიდან გასვლას და დამოუკიდებლობის მოპოვების პროცესს, იმდენად მოუმზადებელი და გამოუცდელი შეხვდა, რომ ცხადია გაუჭირდა მთელ რიგ დაბრკოლებებთან გამკლავება. მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე თვითმმართველობის ევოლუციის ანალიზი ცხადყოფს, რომ მისი

უფლებამოსილებანი არასოდეს ყოფილა სრული და ექსკლუზიური. მწვავედ დგას ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურის საკითხი. 2006 წლამდე ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებათა უფლებამოსილებები ძალზედ ბუნდოვნად იყო გამიჯნული. 2006 წლიდან მართალია ფორმალურად მოხდა ამ უფლებამოსილებების განცალკევება, მაგრამ რეალურად მნიშვნელოვნად შეიზღუდა ადგილობრივი ხელისუფლების დისკრეცია საკუთარ უფლებამოსილებათა განხორციელებაში. 2010 წლიდან საკრებულოს თავმჯდომარისა და გამგებლის უფლებების კოლიზიამ გაართულა მათ შორის ურთიერთობა. ვერც 2014 წელს მიღებული ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსმა შეძლო ამ პრობლემის მოგვარება.

ქართული თვითმმართველობა დღესაც სტაგნაციის ეტაპზეა. მიუხედავად არაერთი რეფორმისა, ის ჯერ კიდევ ვერპასუხობს თანამედროვე ნორმებსა და გამოწვევებს, ვერც დემოკრატიისა და ვერც ეფექტიანობის კუთხით. ფინანსური რესურსის ნაკლებობა, დაბალი კვალიფიკაცია, არასწორი სტრატეგიული მიმართულება დღემდე დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს განვითარებისკენ მიმავალ გზაზე.

როდესაც დამოუკიდებელ, დეცენტრალიზებულ ადგილობრივ თვითმმართველობაზე ვსაუბრობთ, გასათვალისწინებელია ერთი საკითხი, რამდენად მზად არის საქართველო ამ ეტაპზე დეცენტრალიზებული მმართველობისთვის და იძლევა თუ არა ამის საშუალებას ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა. თუ ტერიტორიულ გადანაწილებას გავითვალისწინებთ ეკონომიკის თვალსაზრისით, ბიუჯეტის შემოსავლების ძირითადი, ყველაზე მნიშვნელოვანი წილი დედაქალაქის მიმდებარე ტერიტორიიდან მიღებულ ფინანსებზე მოდის, რაც მუნიციპალიტეტებს ფაქტიურად ფინანსური დამოუკიდებლობის წყაროს უკეტავს. აქედან გამომდინარე, ადგილობრივი თვითმმართველობის გრძელვადიანი სტრატეგია, პირველ რიგში გათვლილი უნდა იყოს თვითმმართველობების ფინანსურ უზრუნველყოფაზე, რისთვისაც აუცილებელია რეგიონალური

ეკონომიკის განვითარებისთვის აუცილებელი შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება და მუნიციპალიტეტების გაძლიერებისკენ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკა. წინააღმდეგ შემთხვევაში თვითმმართველობის სრული დეცენტრალიზაცია ყოველგვარ აზრს კარგავს.

ცხადია საფრანგეთი დღეს ევროპის ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ ქვეყანად ითვლება. თუმცა, ანალიზის შედეგად ჩანს, მიუხედავად იმისა რომ მას არ გაუვლია ის ისტორიულად მძიმე წინაპერიოდი, რომელიც პოსტსაბჭოურ ქვეყნებს ერგოთ მემკვიდრეობით, მაინც ბოლომდე ვერ განთავისუფლებულა ცენტრალური მართვის მარწუხებისგან და დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სწორედ რომ ჰიბრიდული მართვის სისტემაზე არის დაფუძნებული. იქიდან გამომდინარე რომ სრული დეცენტრალიზაციისთვის საკმარისი მზაობა და რესურსი არ აღმოაჩნდათ, რამაც ქვეყანა გარკვეულ კრიზისამდე მიიყვანა, საბოლოოდ მოხდა გარკვეული სახელისუფლებო ვერტიკალის შენარჩუნება.

ამ გამოცდილებიდან და ყველა იმ უპირატესობების შეჯერებით რომელიც სახელმწიფოს ცენტრალიზებულ მართვის მოდელს გააჩნია, ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და მისაღებია საქართველოსთვის, როგორც ზოგადად მისი რთული გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან, ისევე იმ უმძიმესი პოლიტიკური და ეკონომიკური სირთულეებიდან გამომდინარე, რომელსაც ჩვენი ქვეყანა განიცდის მუდმივად მიმდინარე მნიშვნელოვანი სახელმწიფო რეფორმების ფონზე. ამასთან, ისიც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გარკვეულწილად ვერტიკალური მართვის სისტემა თავისი კომპაქტური, მაგრამ ქმედითი მთავრობითა და გაცილებით ნაკლები ხარჯებით უფრო მომგებიანი იქნება საქართველოსთვის, ვიდრე სრულად დეცენტრალიზებული მოდელი, რომლისთვისაც ეკონომიკური მზაობა საქართველოს ჯერ არ გააჩნია.

ამრიგად, საქართველოში ძლიერი ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოსაყალიბებლად საჭიროა გრძელვადიანი, სისტემური, პოლიტიკურ ნებაზე დაფუძნებული, კარგად გათვლილი სტრატეგია.

- მნიშვნელოვანია ისეთი ადგილობრივი საარჩევნო სისტემის მიღება, რომელიც ხელს შეუწყობს დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას და ადგილობრივი თვითმმართველობის საკანონმდებლო ორგანოში პლურალისტური გარემოს ჩამოყალიბებას.

- აუცილებელია ადგილობრივ მოსახლეობასთან მაქსიმალური სიახლოვე, მათი ინტერესების გათვალისწინება და ადამიანების მმართველობით პროცესებში ჩართვა.

- გადამწყვეტია ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებათა ფარგლების დადგენა და მისი სახელმწიფოსთან ურთიერთობის განსაზღვრა.

- არსებითია ეკონომიკის განვითარება და შებამისი ინფრასტრუქტურის შექმნა, რომლის სრულყოფამდეც შეუძლებელია თვითმმართველობის ფისკალურ ავტონომიაზე საუბარი.

- სავალდებულოა საჯარო ადმინისტრაციული რესურსის პოლიტიკური წნეხისგან გათავისუფლება, იმისთვის რომ გაიზარდოს მოხელის თვითშეფასება, რაც თავისთავად გამოიწვევს მათში კვალიფიკაციის ამაღლებას და მათ საქმიანობას უფრო ეფექტურს გახდის.

- სასურველია პრაქტიკული მაგალითებიდან და საქართველოს რესურსული შესაძლებლობიდან გამომდინარე, საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის ჰიბრიდული სისტემის დანერგვა, სადაც ძირითადი აქცენტი, თვითმმართველობის ინსტიტუტებში სახელისუფლებო ვერტიკალის გარკვეული დოზით შენარჩუნებაზე იქნება გაკეთებული.

კვლევის შედეგების აპრობაცია. დისერტაცია განხილული იქნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების

ფაკულტეტის სახელმწიფო მართვის მიმართულების პროფესორ-მასწავლებლების, დოქტორანტებისა და მაგისტრების ერთობლივ სხდომაზე.

საგანმანათლებლო პროგრამის სქემით განსაზღვრულ პერიოდში ჩატარდა დებულებით გათვალისწინებული ორი სამეცნიერო - თემატური სემინარი:

თემატური სემინარი #1 – „რეფორმები საფრანგეთის სახელმწიფო შესყიდვების სფეროში“. 2017 წ.

თემატური სემინარი #2 – „საჯარო სამსახური და პოლიტიკური წნეხი ევროპის ქვეყნების მაგალითზე“. 2017 წ.

თეორიულ/ექსპერიმენტული კვლევის ფარგლებში, სწავლების მესამე, მეოთხე და მეხუთე სემესტრებში მომზადდა სამი კოლოკვიუმი:

კოლოკვიუმი I–„საჯარო სამსახური საფრანგეთში და მისი პრობლემები“. 2017 წ.

კოლოკვიუმი II–„საფრანგეთის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტი ფინანსური კრიზისის პირისპირ (2016 წლის მიხედვით)“. 2017 წ.

კოლოკვიუმი III – „ადგილობრივი თვითმმართველობა და მისი ინსტიტუციური მოწყობა საქართველოში დამოუკიდებლობის შემდეგ“. 2018 წ.

დისერტაციის ძირითადი დებულებები წარდგენილი იყო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე:

ჭუმბურიძე შ., ქოჩორაძე ო. „საფრანგეთის დეცენტრალიზაცია და მრავალდონიანი მთავრობა“ სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება (ისტორია, თეორია, პრაქტიკა)“-ს ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ხელისუფლება და საზოგადოება - 2015“. თბილისი, 28 ნოემბერი, 2015. გვ.8.

ჭუმბურიძე შ., ქოჩორაძე ო. „მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი და საფრანგეთის ფინანსური მენეჯმენტი“ სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება (ისტორია, თეორია, პრაქტიკა)“-ს

ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ხელისუფლება და საზოგადოება - 2016“. თბილისი, 26 ნოემბერი, 2016. გვ.6.

ჭუმბურიძე შ. „პროფესიული კავშირის გავლენა მმართველობის სისტემაზე“ სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება (ისტორია, თეორია, პრაქტიკა)“-ს ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ხელისუფლება და საზოგადოება - 2017“. თბილისი, 25 ნოემბერი, 2017. გვ.11.

ჭუმბურიძე შ. „საფრანგეთის საჯარო მართვის სისტემა პოლიტიკური და ბიუროკრატიული ელემენტების ზეგავლენის ქვეშ“ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ეკონომიკა, ბიზნესი და ტურიზმი: აქტუალური პრობლემები, მიღწევები და ინოვაციები“. ქუთაისი, 11 ნოემბერი, 2017. გვ.296 - 299.

კვლევაში ფორმულირებული ძირითადი დებულებები ასახულია ავტორის შემდეგ პუბლიკაციებში:

ჭუმბურიძე შ., ქოჩორაძე ო. „მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი და საფრანგეთის ფინანსური მენეჯმენტი“. სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება (ისტორია, თეორია, პრაქტიკა)“ #4(40) 2016. გვ.70 – 80.

ჭუმბურიძე შ, მანია ვ. „საჯარო სამსახური საფრანგეთში და მისი პრობლემები“. სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება (ისტორია, თეორია, პრაქტიკა)“ #1(41) 2017. გვ.136 – 144

ჭუმბურიძე შ. „პროფესიული კავშირის გავლენა მმართველობის სისტემაზე“. სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება (ისტორია, თეორია, პრაქტიკა)“ #4(44) 2017. გვ.5 – 14

ჟურნალის რეფერირებული მასალა განთავსებულია საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბიბლიოთეკაში: <http://www.eLIBRARY.ru>